1 აპრილი

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

2021 ხუთშაბათი

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15 (უფლის სერობის წირვა)

შეიყვარა ისინი აღსასრულამდე

იო 13,1

ეს სიტყვა ყველაზე უკეთ გამოხატავს იესოს სიყვარულის სიდიდეს, სიყვარულისას, რომელმაც უბიძგა მას სრულად მიეძღვნა საკუთარი თავი ჩვენთვის, ჯვარზე და პურში.
ესაა სიტყვა, რომელიც ძალას გვაძლევს ჩვენც, როდესაც სიყვარულის ამოცანა რთულდება.
მადლობა, იესო, რამეთუ შენი სიტყვები ნამდვილადაა „სული და სიცოცხლე“!

2 აპრილი

წითელი პარასკევი, [ს], წ

2021 პარასკევი

ეს 52,13 - 53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1 - 19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, გამოყონ მდუმრებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მიწისთვის.

მაშ, მეფე ხარ? იო 18,37

დიახ, პილატე, იესო მეფეა, ოღონდ არა ისე,
როგორც შენ გგონია: ნუ გეშინია. იგი ღვთის
სასუფევლის მეფეა, მამის წარმომადგენელი,
ყოველი ადამიანი რომ უყვარს; იესოა იგი, ვინც
აღასრულებს მის სიყვარულს. ის მეფეა, რომელიც
ამჟღავნებს ღვთის სიყვარულის ჭეშმარიტებას
საკუთარი თავის ჯვარზე მიძღვნით, ანუ
სიყვარულში კვდომით.
უფალო იესო, შენა ხარ სიყვარულის მეფე.
მსურს ოდენ შენ გაგიგონო და დაგყვე,
მეფევ ჩემო და მხსნელო.

3 აპრილი

2021

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

შაბათი

მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის კლიტენი (ანტ. შდრ გამოცხ 1,18)

იესო, შენს „სამარხთან“ ვდგავარ თავმდაბალი და მდუმარე თაყვანისცემით. და შენ მართმევ სიკვდილის შიშს! მამამ ხომ შენში გააცხადა, რომ მისი ძალმოსილების გარეთ როდი ყოფილა სიკვდილი. ახლა კი მტკიცედ ვიმედოვნებ, რომ შენი სიტყვისამებრ შენ მეც აღმადგენ უკანასკნელ დღეს. განა უკვე არ ვაჭაშნიკებ, მრავალი მცირე აღდგომის წყალობით, რომ შენ მოქმედებ ჩემს ცხოვრებაში? გმადლობ, იესო: მტკიცედა მწამს, რომ საფლავშიც არ მიმატოვებ!

4 აპრილი

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა, «ბ», დდ, [ს], თ

2021 კვირა

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 ან, 1კორ 5,6-8; იო 20,1-9 ან, მარ 16,1-8 ან, ლკ 24,13-35

ჭეშმარიტად აღდგა უფალი ლკ 24,34

ჩვენც გვიჭირს ხოლმე ამ სასიხარულო ამბის დაჯერება, ისევე, როგორც ყველა მოწაფეს გაუჭირდა. მათ იხილეს ცარიელი სამარხი, შემდეგ კი თავად უფლის ხილვით გაიხარეს დიდად. ჩვენ გვწამს მათი სიტყვა, სწორედ იმიტომ, რომ რთულია, ადამიანურად წარმოუდგენელი, არადა მან შეცვალა მათი ცხოვრება. როგორც კი დავიწყებთ რწმენას, ჩვენშიც დაიბადება სიხარული და მტკიცე რწმენა, რომ ახალი სიცოცხლე იწყება.

5 აპრილი

2021

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ორშაბათი

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

გიხაროდეთ! მთ 28,9

ქალები, რომლებსაც ესალმება იესო, გალილეიდან
მოჰყვებოდნენ მას; თავმდაბლობითა და
ერთგულებით, დაფარულად ემსახურებოდნენ
მას: უყვარდათ იგი. კვლავ ისინი, როგორც კი
შესაძლებლობა მიეცათ, მიდიან სამარხთან. და
იესო უმზადებს მათ მოულოდნელ, უმშვენიერეს
ამბავს: ხვდება მათ აღმდგარი, სამარადისოდ
ცოცხალი! ისინი არასოდეს ინანებენ, რომ
შეიყვარეს იესო! ალელუია!

6 აპრილი

2021

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

სამშაბათი

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

ქალო, რად სტირი? იო 20,15

„ქალო“! ეს უსახელო „ქალი“ განა არ მოგვაგონებს ეკლესიას, იესოს საყვარელ სასძლოს? და მასთან ერთად თითოეულ ჩვენგანს? ნამდვილად აღარაფერი აქვს სატირალი მას, ვინც იესოს მიანდო თავი! აღმდგარი იესო მარად ცოცხალია. ჯვარზე გაღებული სიცოცხლის წყალობით, მისი სიყვარულიც და მარადიული სიცოცხლის მონიჭების ძალაც კარგავენ საზღვრებს! ალელუია!

7 აპრილი

2021

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ოთხშაბათი

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

დარჩი ჩვენთან, ვინაიდან უკვე ბინდდება ლკ 24,29

აწი ყოველი საღამო, თუნდაც ჩამობნელებული, მუდამ განათებული იქნება აღმდგარი იესოს ყოფნით. შესაძლოა ზოგჯერ გეზსაც ავცდეთ, დაღლილობამ დაგვრიოს ხელი, ჯვარმა, მაგრამ გვექნება იმედი და ახალი ძალა, რომელთაც იესო, ჩვენი თანამგზავრი, შთაღვრის ჩვენში. ალელუია! ჩვენი არსებობა ახლა მის ნალურსმევ, მაგრამ სიკვდილზე ძლევამოსილ ხელშია! ალელუია!

8 აპრილი

2021

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ხუთშაბათი

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

მშვიდობა თქვენდა! ლკ 24,36

ეს უბრალო სალამი როდია, საჩუქარია, რაც შენი ჯვრის ფასად შეიძინე ჩვენთვის: თანაზიარება შენს მარადიულ სიცოცხლესთან, ღვთის ძის სიცოცხლესთან.
ყველა იმათთან, ვისაც შენი სწამს და უყვარხარ, იესო, მეც გმადლობ და სიხარულით გიგალობ: ალელუია!

9 აპრილი

2021

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

პარასკევი

საქმ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

700 წელი ძმა დემეტრე თბილელის
ტჰანაში (ინდოეთი) სიკვდილიდან

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე

უფალია! იო 21,7

დიახ, იგი, ვისაც ვადარდებთ, ვინც არა გვტოვებს
მაშინაც კი, როცა ვივიწყებთ მას, ვინც დედის,
მამის, ნამდვილი ძმის დარად გველაპარაკება,
ვისი ხმაც გვამშვიდებს და იმედს გვანიჭებს, ვისი
სიტყვაც მოლოდინს არ გვიცრუებს და რომელსაც
ღირს, რომ გავუგონოთ – ეს, უფალია.
აღმდგარი იესოა ერთადერთი, ვისაც შეუძლია
სწორი გზა მიგვითითოს ცხოვრების ლაბირინთში,
რომელსაც ნამდვილი სიცოცხლის განთიადი
ხელეწიფება ჩვენში!

10 აპრილი

2021

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

შაბათი

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

არ შეგვიძლია არა ვთქვათ ის, რაც გვიხილავს საქმ 4,20

როგორც მარიამ მაგდალელი, ემაუსიდან დაბრუნებული ორი მოწაფე, მოციქულები, დღესაც, ისევე როგორც ორი ათასი წლის წინ, ის, ვინც საკუთარ ცხოვრებაში განიცადა აღმდგარი იესოს ცოცხალი სიახლოვე, ვერ დადუმდება. რა თქმა უნდა, პატივისცემა ექნება და არაფერს არ მოახვევს თავზე არავის, მაგრამ სურვილი ექნება ყველას გაუზიაროს ის განძი, რაც თავად პოვა. იესოს მსაგვსად და იესოსთან ერთად ენდომება ეს მადლი ყოველი ქმნილებისათვის.

11 აპრილი 2021

პასექის II კვირადღე, (ღმრთაებრივი გულმოწყალებისა) «ბ», [ს], თ

კვირა

საქმ 4,32-35; ფს 117; 1იო 5,1-6; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

რაკი მიხილე, მიცომ მიწამე იო 20,29

როდესაც არა მჯერა შენი და შენი ცოცხალი ყოფნა ძმებში, მეც, თომას მსგავსად, შენი სევდის მიზეზი ვხდები, იესო: მომიტევე! შენი საპასექო გამარ-ჯვებით, დაე, მეც შევძლო ნამდვილად ვირწმუნო: ტანჯვაში, სიყვარულში, მიტევებაში, მარტოობაში, თუმც კი ვერ გხედავ, შენ იმყოფები, გაშლილი ხე-ლებით მომელი, რათა ჩემი მყიფე ცხოვრება აღავსე შენი მარადისობით, შენი სიყვარულით.
იესო, შენა ხარ ზეციერი მამის გულმოწყალება, დიდება შენდა! ალელუია!

12 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

2021 ორშაბათი

საქმ 4,23-31; ფს 2; იო 3,1-8

რაბი, ვიცით, რომ ღმრთისაგან მოსულხარ მოძღვრად იო 3,2

ნიკოდემოსმა პირველი ნაბიჯი გადადგა, როცა იესო აღიარა ღვთისაგან მოვლენილ, ანუ, მოსმენის ღირს მოძღვრად. ის შემდგომ ნაბიჯს გადადგამს, როცა იოსებ არიმათიელთან ერთად სამარხში ჩაასვენებს მის სხეულს, რითაც აჩვენებს, რომ იგი არ დათანხმებია მის სასიკვდილო განაჩენს. ეჭვგარეშეა, რომ მისი გზა გაგრძელდა აღმდგარი იესოს სიხარულში: ჩემსა და შენს სიხარულში, რომლებსაც გვწამს, რომ იესოა უფალი, ჩვენი მაცხოვარი.

13 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

წმ. მარტინ I, პაპი და წამებული, +655

2021 სამშაბათი

საქმ 4,32-37; ფს 92; იო 3,7-15

მაღლით გმართებთ შობა იო 3,7

ნათლისღების წყალობით „მაღლით“ დავიბადეთ: მიგვიღეს მამის, ძისა და წმიდა სულის სამყაროში; გავხდით იმ ღმერთის შვილნი, რომელიც ოდენ სიყვარულია. და ეს სიცოცხლე განუწყვეტლივ მოედინება ჩვენში „მაღლიდან“, იესოს ჯვრიდან. გუშინ, მაგალითად, შევძელი მიმეტევებინა და განმეგრძო ერთი პიროვნების სიყვარული, რომლისგანაც შეურაცხყოფილად და უარყოფილად ვიგრძენი თავი. ცოტა არ იყოს გამიჭირდა, როგორც უჭირთ ხოლმე დაბადება, მაგრამ შემდეგ დიდი სიხარული დამეუფლა. მადლობა, იესო!

14 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

(1.IV) წმ. ღირსი იოანე შავთელი, XI-XIIსს

2021 ოთხშაბათი

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

ისე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ძე იო 3,16

მადლობა, მამაო სახიერო, ამ საპასექო დღეების საჩუქრისათვის! აღვნიშნავთ შენს უსასრულო სიყვარულს: ცოდვით დაკარგული სიცოცხლის დასაბრუნებლად შენ გაეცი საყვარელი ძე. და დღევანდელ თუ ხვალინდელ ცოდვასაც და სიკვდილსაც შენ შეგიძლია სძლიო და მოგვანიჭო სიცოცხლე! მწამს, მამაო, თუმცა საიდუმლო დიდია! ვიმედოვნებ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მცირედ ვგრძნობ თავს! მსურს დაგიმტკიცო, მუდამ შენს სიხარულში ცხოვრებით!

15 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

(2.IV) წმ. გიორგი მაწყვერელი, IX-Xს

2021 ხუთშაბათი

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

ღმერთს უფრო უნდა გავუგო-ნოთ, ვიდრე ადამიანებს საქმ 5,29

დაჰყვე და გაუგონო ღმერთს და არა ადამიანებს, რომლებიც გიბიძგებენ და თითქმის გაიძულებენ საწინააღმდეგო მიმართულებით, რაღა თქმა უნდა, არაა იოლი; საჭიროა დიდი შინაგანი ძალა და დამხმარე ხელიც, გვერდში რომ გიდგას და შეგეწევა. გამაგრდი, მარტო არა ხარ, ეკლესიაში მზად არიან, რომ დაგეხმარონ. დაჰყვე და გაუგონო ღმერთს, შესაძლოა ძნელიც აღმოჩნდეს შენთვის, მაგრამ, იცოდე, არასოდეს ინანებ ამას.

16 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

2021 პარასკევი

საქმ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

იესომ აიხედა და დაინახა, რომ დიდძალი ხალხი მოდიოდა მისკენ იო 6,5

„იესომ, აღაპყრო მზერა“: მუდამ მამისაკენ მიპყრობილმა იესომ, რომლის საფიქრალია, როგორ მიეძღვნას მას, იმ წუთში მზერა აღაპრყო. და აი, „დიდძალი ხალხი მოდის მასთან“: იესომ უწყის, რომ მამა ხედავს ყოველივეს, ყოველივეს განკარგავს. ღებულობს ამ ხალხს მისგან მოვლენილს; არ ადარდებს ის, რაც დასჭირდება მას საამისოდ, აუწყებს იმ მამას, რომელიც ყოვლისშემძლეა თავისი სიყვარულით.

17 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

2021 შაბათი

საქმ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

მე ვარ, ნუ გეშინიათ! იო 6,20

იესო, რა მშვენიერია ეს შენი სიტყვა! გულში შევინახავ მას, რომ არ დამეკარგოს ეს ნამდვილი საპასექო საჩუქარი. არ უნდა მეშინოდეს, არასოდეს, თუკი შენ აქ ხარ: შენ, რომელსაც სიყვარულის მეტი არაფერი გაკავშირებს ჩემთან, შენ, რომელსაც გსურს და ძალგიძს კიდეც ჩემი სიკეთე, გწადია ჩემი დახსნა. შენდამი შიში, და შენი მოშორების სურვილი ჩემი და შენი მტრის კარნახია! არასოდეს დავუგდებ მას ყურს!

18 აპრილი

2021

პასექის III კვირადღე, «ბ», [III], თ

კვირა

საქმ 3,13-15.17-19; ფს 4; 1იო 2,1-5; ლკ 24,35-48

შეხედეთ ჩემს ხელებსა და ჩემს ფეხებს: ეს მე ვარ თვითონ ლკ 24,39

შენ, იესო, აღდექ! შენ, რომელმაც საკუთარი თავი მიალურსმინე ჯვარზე ჩემთვის; შენ, რომელიც მოხ-ვედი ამქვეყნად არა განსაკითხავად, არამედ სახსნე-ლად; შენ, რომელსაც დედასავით და დედაზე მეტად გესმის ჩემი, მიცავ, გიყვარვარ და მომიტევებ... სწორედ შენ, იესო, მარად ცოცხალი ხარ, აღარა კვდები: ყოველ წუთს ჩემ გვერდითა ხარ და ჩემში ხარ! ვერავინ წამართმევს შენს სიხარულს: მადლობა, იესო!

19 აპრილი

პასექის III კვირა [III], თ

2021 ორშაბათი

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

თქვენ მეძებთ იმიტომ, რომ პური ჭამეთ და გაძეხით იო 6,26

იმ ხალხის მსგავსად დღესაც მრავლად მოდიან იესოსთან სხვადასხვა გასაჭირისა თუ სირთულის გამო. თუმცა, როგორც მაშინ, ეს შეიძლება იყოს პირველი ნაბიჯი საიმისოდ, რომ უკეთ გაიცნო იგი და მიემხრო მას არა ანგარების გამო, არამედ რწმენით. იესო, გეძებ შენ, რათა ყური დაგიგდო და გავიგო, როგორ ვიცხოვრო, რათა მადლობა გითხრა და ვაკეთო ის, რაც მამას სურს.

20 აპრილი

პასექის III კვირა [III], თ

2021 სამშაბათი

საქმ 7,51 - 8,1; ფს 30; იო 6,30-35

ვისაც სწამს ჩემი, არ მოსწყურდება არასოდეს იო 6,35

ამიტომ, არ მოვატყუებ იმათ, ვინც მიყვარს: მივ-
მართავ მათ იესოსაკენ. მხოლოდ მისგან შეძლებენ
გაძღომას სიცოცხლით, სიხარულით, სიყვარულით.
არ ვიზამ ამას მხოლოდ სიტყვებით, არამედ ლო-
ცვითაც; განსაკუთრებით იმ მოკლე მაგრამ ესოდენ
ძლიერი ლოცვით, რომელიც იესომ მასწავლა:
„აჰა მე, მამაო!“

21 აპრილი

პასექის III კვირა [III], თ

წმ. ანსელმი, ეპ. და ეკლ. მოძღ. +1109

2021 ოთხშაბათი

საქმ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს

იო 6,40

ეს იესოს დაპირებაა, რომელსაც ვენდობით, რადგან ვუწყით რომ მან შეაბიჯა სიკვდილში, განიცადა ის და დაამარცხა.
მამა ყველას უწვდის სავსე და მარადიულ სიცოცხლეს, ამიტომ მოგვივლინა მან იესო გზის გასახსნელად. ეს გახსნილი გზაა, თუმცა არავინაა იძულებული დაადგეს მას: თითოეული თვითონ უნდა შეუდგეს მას და განვლოს, იესოს კვალში.

22 აპრილი

პასექის III კვირა [III], თ

2021 ხუთშაბათი

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

პური, რომელსაც გავცემ, ჩემი ხორცია, რომელსაც სოფლის სიცოცხლისათვის გავცემ იო 6,51

იესო, შენ, ღმერთი განკაცდი, ჩემნაირი ხორცი მიიღე, და ეს იმისთვის, რომ შეგძლებოდა ჩემთან შეერთება, ჩემი მიღება, მთლიანად, შენში. ამგვარად მე მცირეს, ღატაკს, მოკვდავს მჩუქნი საუკუნო სიცოცხლეს.
თაყვანსა გცემ, გმადლობ, მიყვარხარ და გიგალობ: ალელუია!

23 აპრილი

2021

პასექის III კვირა [III], თ

წმ. გიორგი, წამებული +303
წმ. ადალბერტი, ეპ. და წამ. +997

პარასკევი

საქმ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)

ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემით იო 6,57

საკვები, რომელსაც ვჭამთ, იქცევა ჩვენი სხეულის ფიზიკურ ენერგიად. თუკი იესო ხდება ჩვენი საზრდო და იქცევა ჩვენს სიცოცხლედ, სხვა ვისითღა შევძლებთ სიცოცხლეს? მისი ჩვენში ყოფნით ვღებულობთ ღვთიურ სიცოცხლეს, სიცოცხლეს, რომელსაც ვუწოდებთ მარადიულს. მაშინ, ყოველივე რასაც გავაკეთებთ, სხვა არაფერი იქნება, მადლობის გარდა, ევქარისტია.

24 აპრილი

2021

პასექის III კვირა [III], თ

წმ. ფიდელ სიგმარინგენელი, ხუც. წამ. +1622

შაბათი

საქმ 9,31-42; ფს 115; იო 6,60-69

ჩვენ ვიწამეთ, რომ შენა ხარ ღვთის წმიდა იო 6,69

„ღვთის წმიდა“ ტიტულია, რომელიც აღნიშნავს იმას, რომ იესოა ის, ვინც სისავსით გვაცნობს ერთადერთ ნამდვილ ღმერთს, იგია ის, ვისი საშუალებითაც ღმერთი მამა ვლინდება სისავსით. იესოში, ხომ ყველა სხვა ადამიანისგან განსხვავებით, არ არის ცოდვა, რომელიც ხელს შეუშლიდა ან შეზღუდავდა ღმერთის გამოჩენას. იესოში ღვთის სიყვარული იმყოფება სრულებით, მეტიც, თავადვეა მისი განხორციელება. სხვა ვისთან უნდა წავიდეთ? მხოლოდ მას აქვს საუკუნო სიცოცხლის სიტყვები!

25 აპრილი

2021

პასექის IV კვირადღე, «ბ», [IV], თ

კვირა

საქმ 4,8-12; ფს 117; 1იო 3,1-2; იო 10,11-18

მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე

ამიტომ ვუყვარვარ მამას იო 10,17

იესო, დღეს შენს მწყემსობას აღვნიშნავთ! და შენ გვაგებინებ, რომ შენთვის მხოლოდ მამის სიყვარულია მნიშვნელოვანი... მას რომ მოეწონო, შენ გვღებულობ, გვიწვდი შენს სიცოცხლეს ჩვენს სახსნელად. მსურს ვისწავლო შენგან: შევიყვარებ ძმებს მხოლოდ შენდამი სიყვარულისათვი, შენს გასახარად. ერთგულებას შევინარჩუნებ, მაშინაც, როცა უმადურობა და ვერგაგება დამხვდება წინ.

26 აპრილი

პასექის IV კვირა [IV], თ

2021 ორშაბათი

საქმ 11,1-18; ფს 41-42; იო 10,1-10

მე ვარ კარი ცხვართა

იო 10,7

ცხვარი გამოდის ფარეხის კარიდან, რათა იკვებოს
და ბრუნდება იქ, რათა დაცულ ადგილას შეაფაროს
თავი. იესო მანიჭებს სიცოცხლეს, მხოლოდ იგი და
როგორც თავადა თქვა, მანიჭებს „სიცოცხლეს უხ-
ვად“, ანუ, სავსე და მარადიულ სიცოცხლეს.
ისინი, ვინც მეხმარებიან მასთან ყოფნასა და მის
კვალში სიარულში, „ქურდები და ყაჩაღები“ როდი
არიან; ქურდები და ყაჩაღები ისინია, ვინც მაშორე-
ბს მისი ნდობისა და მორჩილებისაგან.

27 აპრილი

პასექის IV კვირა [IV], თ

2021 სამშაბათი

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

მე ვაძლევ მათ საუკუნო სიცოცხლეს

იო 10,28

ასე ამოიცნობ იესოს კრავებს; ისინი უკვე „საუკუნო სიცოცხლით“ ცხოვრობენ: შეურაცხყოფ მათ? მოგიტევებენ; სცემ? დაგლოცავენ; იტანჯებიან? ითმენენ და თავს უძღვნიან; დაინახავენ, ვინმე იტანჯება? თანაუგრძნობენ და ისწრაფიან დასახმარებლად. თითოეულს თვალებში უდგას სიყვარულის სიხარული.

28 აპრილი

2021

პასექის IV კვირა [IV], თ

წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუც. +1716;/წმ. პეტრე შანელი, ხუც. და წამ. +1841;/წმ. ჯანა ბერეტა მოლა +1962

ოთხშაბათი

საქმ 12,24 - 13,5; ფს 66; იო 12,44-50

არცერთი, ვისაც მე ვწამვარ, არ დარჩეს ბნელში

იო 12,46

იესო ტაძარში, დიდძალი ხალხის წინაშე, ხმამაღლა ამბობს, რომ იგი წუთისოფლად მოვიდა, როგორც ნათელი, რათა ვისაც კი სწამს იგი, არ დარჩეს ბნელში. ეს იმ მრავალთა ამპარტავნობით გაჟღენთილი პრეტენზიები როდია, საკუთარი თავი დიდ ვინმეებად რომ მოაქვთ და თავზე გვახვევენ. სიყვარულს სწადია, იხსნას, და იესოც გვიჩვენებს ამას სიცოცხლის მიძღვნით. მადლობა, იესო, რომ განგვიცხადე შენი თავი და გამინათე, გარდაქმენი და აღავსე ჩემი ცხოვრება!

29 აპრილი

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწ. და ეკლ. მოძღვ., ევროპის მფარველი, +1380, დ, თ

2021 ხუთშაბათი

1იო 1,5 - 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

დაიდგით ქედზე ჩემი უღელი მთ 11,29

მავანი ამბობს, რომ ეკლესიის მოძღვრება შუასაუკუნეების ჩაგვრააო. ვერ კი ამჩნევს, ამ წუთისოფლის უღელი როგორ გვიმონებს და საშინლად გვტანჯავს. ამის გასაგებად ნათელი შემოდის როდესაც განიცდი იესოს სიყვარულს. მისი გაცნობა გითავისუფლებს გულს და სიხარულით, მშვიდობით, სიმხნევით, სიყვარულის სურვილით გადაავსებს მას. წმიდა ეკატერინე, შენ გვიდასტურებ ამას საკუთარი თავით.

30 აპრილი

2021

პასექის IV კვირა [IV], თ

(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელი, IXს;
წმ. პიუს V, პაპი, +1572

პარასკევი

საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6

წითელი პარასკევი მართლმადიდებელ ეკლესიაში

მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე იო 14,6

ამას იესო თავისთვის როდი ამბობს, არამედ ჩემთვის: რათა მიმართოს ჩემი გზები, არჩევანი, პასუხი გასცეს უამრავ სასიცოცხლო კითხვას, რომლებიც საკმარის პასუხს ვერ პოულობენ ადამიანურ გონიერებაში, რათა მომცეს სიცოცოხლის უნარი, ნაცვლად იმისა, რომ ცოცხალმკვდარმა ვიარსებო. მადლობა, იესო: შენა ხარ მამის სიყვარული, რომელიც მიმიძღვის მისკენ, შემაცნობინებს მას, მის სიცოცხლეს მიწილადებს.